

**საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-10 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან შესაბამისი რეჟიმის დასრულებამდე, აგრეთვე, რეაბილიტაციის გეგმის მოქმედების პერიოდში;“.

2. მე-8 მუხლის 29-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება შესაბამისი პირის მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის თაობაზე, თუ მოსამართლის მიერ კრედიტორის მოთხოვნა არ იქნა აღიარებული;“.

3. 82-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ჰ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული შემოსავალი;“;

ბ) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე;“.

4. 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული მოგების განაწილება;“.

5. 141-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბანკო დაწესებულება, საკრედიტო კავშირი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სესხებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებს აღიარებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.

შენიშვნა: ამ ნაწილის მიზნისთვის:

ა) სესხად განიხილება კრედიტი (სესხი), ოვერდრაფტი, აკრედიტივი, საკრედიტო ხაზი, გარანტია ან/და სავალო ფასიანი ქაღალდები, ფაქტორინგი, აგრეთვე ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული/მისაღები (მათ შორის, დისკონტის, საკომისიოს ან/და სარგებლის სახით მიღებული/მისაღები) ნებისმიერი სახის წინასწარ განცხადებული (დადგენილი) შემოსავალი;

ბ) საპროცენტო შემოსავლები განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით.“.

6. 153-ე მუხლის 5¹ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5¹. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

ა) გაკოტრების რეჟიმის გახსნამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად საშემოსავლო/მოგების გადასახადის დეკლარაციას არ წარადგენს;

ბ) გაკოტრების რეჟიმის გახსნამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წარუდგენელი დეკლარაციები. ამასთანავე, გადასახადის გადამხდელი გაკოტრების რეჟიმის გახსნის შემდეგ სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისად გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციას არ წარადგენს.“.

7. 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში), რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირებული არ არის.“.

8. 165¹ მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაკოტრების რეჟიმის გახსნისას – სასამართლოს მიერ გამოტანილი გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოქვეყნებიდან.“.

9. 168-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების რეჟიმის გახსნამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი წარუდგენელი დეკლარაციები.“.

10. 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) სეს ესნ-ის 8702 40 000 00 კოდში მითითებული ელექტროძრავიანი ავტობუსის (მათ შორის, ელექტროძრავიანი მიკროავტობუსის) მიწოდება;“.

11. 173-ე მუხლის:

ა) „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) სეს ესნ-ის 9619 00 კოდით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი;“;

ბ) „დ“ – „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სეს ესნ-ის 4801, 4802 55, 4802 61 150 00 და 4810 22 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი;

ე) სეს ესნ-ის 1211 90 860 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებული ძირტკბილას ფესვების, 1211 20 000 00 და 1301 20 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში მითითებული საქონლის, 1301 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებული ბუნებრივი გაუსუფთავებელი შელაქის, სეს ესნ-ის 1504 20, 1515 30, 1520 00 000 00, 1702 11 000 00, 3912 12 000 00, 3912 31 000 00, 7010 10 000 00, 7010 90 790 00 და 9602 00 000 00 (ჟელატინის კაფსულები) კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი;“;

ვ) სეს ესნ-ის 0102 21, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000 00, 3103–3105 (გარდა მექანიკური ნარევისა), 3808 61 000 00, 3808 62 000 00, 3808 69 000 00, 3808 91, 3808 92 და 3808 93 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი;“;

გ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სეს ესნ-ის 8701 91 100 01; 8701 91 100 05; 8701 92 100 01; 8701 92 100 05; 8701 93 100 01; 8701 93 100 05; 8701 94 100 01; 8701 94 100 05; 8701 95 100 01 და 8701 95 100 05 კოდებში აღნიშნული ტრაქტორებისთვის განკუთვნილი, სეს ესნ-ის 8706 00 190 00, 8706 00 990 00, 8707 90 900 00, 8708 10 900 00, 8708 29 900 00, 8708 30 910 00, 8708 30 990 00, 8708 40 500 00 – 8708 40 990 00, 8708 50 990 00, 8708 70 500 00 – 8708 70 990 00, 8708 80 350 00 – 8708 80 990 00, 8708 91 350 00 – 8708 91 990 00, 8708 92 350 00 – 8708 92 990 00, 8708 93 900 00, 8708 94 350 00 – 8708 94 990 00, 8708 99 930 00, 8708 99 970

00 კოდებში აღნიშნული შასის, ძარის, ნაწილებისა და მოწყობილობების, აგრეთვე სეს ესნ-ის 8432 90 000 00 და 8433 90 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი;“;

დ) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) სეს ესნ-ის 8802 11 000 10, 8802 12 000 10, 8802 20 000 10, 8802 30 000 10 და 8802 40 000 10 შესაბამისი კოდებით გათვალისწინებული საქონლის ან/და სეს ესნ-ით მისთვის (სამოქალაქო ავიაციისთვის) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;“;

ე) „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნის შესაბამისად საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლებული საქონლის იმპორტი, გარდა თიზ-იდან საქონლის იმპორტისა;“;

ვ) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ²) სეს ესნ-ის 8702 40 000 00 კოდით გათვალისწინებული ელექტროძრავიანი ავტობუსის (მათ შორის, ელექტროძრავიანი მიკროავტობუსის) იმპორტი;“.

12. 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) „ყალბი დოკუმენტით, აგრეთვე, იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც ფიქტიურ გარიგებას ან უსაქონლო ოპერაციას ასახავს.“.

13. 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ახორციელებს თავის მიერ იმპორტირებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდებას.“.

14. 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდების მომენტი.“.

15. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის:

ა.ა) ცხრილის მე-3 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თამბაქო, თამბაქოს ნაწარმი				
3	2401	თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები	1 კგ	60
	2402 10 000 01	– სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ლერი	1.9
	2402 10 000 02	– სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ლერი	2.2
	2402 20	– სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ლერი	1.7
	2403 11 000 00	– „ჩილიმით მოსაწევი თამბაქო“, ამ ჯგუფის სუბპოზიციისთვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	60
	2403 19	– დანარჩენი:	1 კგ	60

	2403 91 000 00	-- „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქო	1 კგ	60
	2403 99 100 00	--- საღებავი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	60
	2404 11 000 00	-- თამბაქოს ან „აღდგენილი“ თამბაქოს შემცველობით	20 ცალი/ლერი	1.7
	2404 12 000 00	-- დანარჩენი, ნიკოტინის შემცველობით	1 მლ	1.0
	2404 19 900 00	--- დანარჩენი	1 მლ	1.0

ა.ბ) ცხრილის მე-5 – მე-7 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5	„ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)“			
	2709 00 100 00	– აირის კონდენსატი ბუნებრივი	1 ტ	300
	2711 11 000 00	– – ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1 ტ	300
	2711 12	– – პროპანი	1 ტ	300
	2711 13	– – ბუტანები	1 ტ	300
	2711 14 000 00	– – ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	300
	2711 19 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	300
	2711 21 000 00	– – ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ³	200
	2901 10 000 00	– გაჯერებულები	1 ტ	300
6	2901 23 000 00	– – ბუტენი (ბუტილენი) და მისი იზომერები:	1 ტ	300
	ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები			
	2710 12	– – მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები	1 ტ	500
	2710 19 110 00	– – – – გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	440
	2710 19 150 00	– – – – ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	440
	2710 19 210 00	– – – – – რეაქტიული სათბობი	1 ტ	440
	2710 19 250 00	– – – – – დანარჩენი	1 ტ	440
	2710 19 290 00	– – – – – დანარჩენი	1 ტ	440
	2710 19 310 00	– – – – – გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	400

2710 19 350 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	400
2710 19 430 00	----- გოგირდის შემცველობით არაუმეტეს 0,001 მას.%-ისა	1 ტ	400
2710 19 460 00	----- გოგირდის შემცველობით 0,001 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0.002 მას.%-ისა	1 ტ	400
2710 19 470 00	----- გოგირდის შემცველობით 0,002 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 0,1 მას.%-ისა	1 ტ	400
2710 19 480 00	----- გოგირდის შემცველობით 0,1 მას.%-ზე მეტი	1 ტ	400
2710 19 710 00	----- გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	800
2710 19 750 00	----- ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 710 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	800
2710 19 810 00	----- ძრავის ზეთები, კომპრესორის საპოხი ზეთი, ტურბინის საპოხი ზეთი	1 ტ	800
2710 19 830 00	----- სითხეები ჰიდრავლიკური მიზნებისათვის	1 ტ	800
2710 19 850 00	----- ღია ფერის ზეთები, ვაზელინის ზეთი	1 ტ	800
2710 19 870 00	----- ზეთი კბილანებისათვის და ზეთი რედუქტორებისათვის	1 ტ	800
2710 19 910 00	----- ლითონების დასამუშავებელი შედგენილობები, ფორმების გასაპოხი ზეთები, ანტიკოროზიული ზეთები	1 ტ	800
2710 19 930 00	----- ელექტრული საიზოლაციო ზეთები	1 ტ	800
2710 19 990 00	----- დანარჩენი საპოხი ზეთები და ზეთები დანარჩენი	1 ტ	800
2710 20 110 00	----- გოგირდის შემცველობით არაუმეტეს 0,001 მას.%-ისა	1 ტ	400
2710 20 160 00	----- გოგირდის შემცველობით 0,001 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0.1 მას.%-ისა	1 ტ	400

	2710 20 190 00	--- გოგირდის შემცველობით 0,1 მას.%-ზე მეტი	1 ტ	400
	2710 20 900 00	-- დანარჩენი	1 ტ	800
	2710 91 000 00	- - პოლიქლორბიფენილების (PCBs), პოლიქლორტრიფენილებისა (PCTs), ან პოლიბრომბიფენილების (PBBs) შემცველობით	1 ტ	800
	2710 99 000 00	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები – ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი	1 ტ	100
		ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი	1 ტ	800
7	ბიოდიზელი			
	3826 00	ბიოდიზელი და მისი ნარეცხი, რომლებიც არ შეიცავენ, ან შეიცავენ მასის 70 მას.%-ზე ნაკლები ოდენობით ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებულ ნავთობს ან ნავთობპროდუქტებს:	1 ტ	150 “;

ა.გ) ცხრილის მე-9 – მე-11 გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები				
9	2707 99 110 00	--- გაუწმენდავი მსუბუქი ზეთები, რომელთა 90 მოც.% ან 90 მოც.-%ზე მეტი გამოიხდება 200° C ტემპერატურამდე	1 ტ	350
	2707 99 190 00	--- დანარჩენი	1 ტ	350
	2707 99 200 00	- - - დაგოგირდებული მსუბუქი ზეთები; ანთრაცენი	1 ტ	350
	2707 99 500 00	--- ძირითადი პროდუქტები	1 ტ	350
	2707 99 990 00	--- დანარჩენი	1 ტ	350
10	მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი			
	2707 10 000 00	- ბენზოლი	1 ტ	400
	2707 20 000 00	- ტოლუოლი	1 ტ	400
	2707 30 000 00	- ქსილოლი	1 ტ	400
	2707 50 000 00	- არომატული ნახშირწყალბადების ნარეცხი დანარჩენი, რომელთა 65 მოც.% ან მეტი (დანაკარგების ჩათვლით) გამოიხდება 250° C ტემპერატურამდე ISO	1 ტ	400

	3405 მეთოდით (ASTM D 86 მეთოდის ექვივალენტური)		
2707 99 800 00	--- ფენოლები	1 ტ	400
2712 20 100 00	-- სინთეზური პარაფინი მოლეკულური მასით 460 ან 460-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 1560-ისა	1 ტ	400
2712 20 900 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
2902 11 001 00	--- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
2902 11 009 00	--- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
2902 19 001 00	--- ციკლოტერპენები	1 ტ	400
2902 19 009 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
2902 20 000 00	- ბენზოლი	1 ტ	400
2902 30 001 00	-- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
2902 30 009 00	-- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
2905 11 000 00	-- მეთანოლი (მეთილის სპირტი)	1 ტ	400
2905 12 000 00	- - პროპან-1-ოლი (პროპილის სპირტი) და პროპან-2-ოლი (იზოპროპილის სპირტი)	1 ტ	400
2905 13 000 00	- - ბუტან-1-ოლი (ნ-ბუთილის სპირტი)	1 ტ	400
2905 14 100 00	- - - 2-მეთილპროპან-2-ოლი (ტრეტბუტილის სპირტი)	1 ტ	400
2905 14 900 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
2905 16 200 00	--- ოქტან-2-ოლი	1 ტ	400
2905 16 850 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
3811 11 100 00	--- ტეტრაეთილტყვიის ფუძეზე	1 ტ	400
3811 11 900 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
3811 19 000 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
3811 21 000 00	- - ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების შემცველობით	1 ტ	400
3811 29 000 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
3811 90 000 00	- დანარჩენი	1 ტ	400
3814 00 100 00	- ბუტილაცეტატის ფუძეზე	1 ტ	400
3814 00 900 00	- დანარჩენი	1 ტ	400
	საპოხი მასალები და საშუალებები		

11	3403 11 000 00	– – ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულისა ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	800
	3403 19 100 00	– – – ნავთობისა ან ბიტუმიანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების არაპირითადი კომპონენტის სახით შემცველობით 70 მას.% ან მეტი	1 ტ	800
	3403 19 200 00	– – – საპოხი საშუალებები ბიო ფუძეზე (1) ნახშირბადის შემცველობით არანაკლებ 25 მას%-ისა და რომლებიც წარმოადგენენ ბიოდეგრედირებადს დონეზე არანაკლებ 60%-ისა	1 ტ	800
	3403 19 800 00	– – – დანარჩენი	1 ტ	800
	3403 91 000 00	– – ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	800
	3403 99 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	800

ა.დ) ცხრილის მე-12 გრაფა ამოღებულ იქნეს;

ა.ე) შენიშვნის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ცხრილის მე-3 გრაფაში აღნიშნული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 ან 2403 91 000 00 კოდში მითითებული საქონლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია 50 ან 100 გრამი ნეტო-მასის პირველად საფუთავებში, გარდა თამბაქოს ნაწარმის დამზადების მიზნით მიწოდების საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა. ამ კოდექსის მიზნებისათვის ამ ნაწილით გათვალისწინებული საქონლის პირველად საფუთავებში დაფასობა აქციზური საქონლის წარმოება არ არის;“;

ბ) 1¹ ნაწილის:

ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 11 000 00 კოდში მითითებული: კაფსულებისა და მსგავსი სახის პროდუქტებისათვის (თამბაქოს შემცველობით) 20 ცალზე და წვის პროცესის გარეშე აეროზოლის მისაღებად გამოსაყენებელი ღერებისათვის 20 ღერზე აქციზის განაკვეთია ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის ჯამი.

ბ.ბ) შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა: ამ ნაწილის მიზნისთვის საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი დგინდება ამ საქონლის მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საცალო სარეალიზაციო ფასებისა და საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა ინფორმაციის საფუძველზე არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა და გამოიყენება მომდევნო წლის 1 იანვრიდან 1 წლის განმავლობაში.“;

გ) 1² ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1². საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 20 კოდში მითითებულ სიგარეტებზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 და 2404 11 000 00 კოდებში მითითებულ საქონელზე აქციზის თანხის გამოანგარიშების მიზნისთვის საცალო სარეალიზაციო ფასს და მისი დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

16. 192-ე მუხლის:

ა) 1² ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1². საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 12 000 00 და 2404 19 900 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში იმპორტიორის მიერ აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

ბ) მე-2 ნაწილის:

ბ.ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) 0,05 ლიტრი ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ან 10 ლიტრზე მეტი (გარდა ლუდისა) მოცულობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი;“;

ბ.ბ) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი;

ი) იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 200 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარა ან 50 სიგარილა ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 11 000 00 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმი ან 10 ცალი კაფსულა და მსგავსი სახის პროდუქტი ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრები, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება.“;

გ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საგადასახადო/საბაჟო ორგანოები დადგენილი წესით ახორციელებენ აქციზური მარკის გარეშე, წესების დარღვევით შემოტანილი ან გასაყიდად მიღებული აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისადმი დაქვემდებარებული საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და მისი რეალიზაცია ან განადგურება ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ დადგენილი წესით.“.

17. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის:

ა) „ბ“ და „ბ¹“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 11 000 00 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის

თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 12 000 00 და 2404 19 900 00 კოდებით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი;

ბ¹) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში 200 ლერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 11 000 00 კოდით გათვალისწინებული 200 ლერი თამბაქოს ნაწარმის ან 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 12 000 00 და 2404 19 900 00 კოდებით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, აგრეთვე 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;“;

ბ) შენიშვნის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ ალკოჰოლიანი სასმელის ან/და თამბაქოს ნაწარმის ან/და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2404 12 000 00 და 2404 19 900 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის ოდენობა აღემატება ამ ნაწილის „ბ“, „ბ¹“ ან „ბ²“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას, ამ მუხლით გათვალისწინებული აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება საქონლის ზემოაღნიშნული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.“.

18. 197-ე მუხლის პირველი – მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმპორტის გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (<i>Gallus domesticus</i>), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
5	0205 00	ხორცი ცხენებისა, ვირებისა, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
6	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ღორებისა, ცხვრებისა, თხებისა, ცხენებისა, ვირებისა, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
7	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული

8	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული
9	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
10	0401 10 100 00	– პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
11	0401 20 110 00	– – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
12	0401 20 910 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
13	0401 40 100 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
14	0401 50 110 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
15	0401 50 310 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
16	0401 50 910 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17	0402 10 110 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
18	0402 10 910 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
19	0402 21 110 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
20	0402 21 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
21	0402 29 150 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
22	0402 29 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 91 100 00	– – – ცხიმის შემცველობით არა უმეტეს 8 მას.%-ისა
24	0402 91 300 00	– – – ცხიმის შემცველობით 8 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 10 მას.%-ისა
25	0402 91 510 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 91 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 99 100 00	– – – ცხიმის შემცველობით არა უმეტეს 9,5 მას.%-ისა
28	0402 99 310 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29	0402 99 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
30	0403	იოგურტი, დო, აჭრილი რძე და ნაღები, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე:
31	0407	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
32	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე

33	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
34	0410	მწერები და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი:
35	0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
36	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
37	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
38	0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
39	0706	სტაფილო, თაღგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
40	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი ან გაცივებული
41	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული
42	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
43	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
44	0711	დაკონსერვებული ბოსტნეული ხანმოკლე შენახვისათვის, მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი:
45	0712 20 000 00	– თავიანი ხახვი
46	0712 31 000 00	– – Agaricus გვარის სოკოები
47	0712 32 000 00	– – ხის სოკო ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
48	0712 33 000 00	– – საფუარი სოკოები (Tremella spp.)
49	0712 34 000 00	– – შიიტაკი (ლენტინულა საკვები) Shiitake (Lentinus edodes)
50	0712 39 000 00	– – დანარჩენი
51	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
52	0714	მანიოკი, მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
53	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცილილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე
54	0803	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
55	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
56	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი

57	0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
58	0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
59	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოშო, ახალი
60	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
61	0811	ხილი და კაკალი, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
62	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის, მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი:
63	0813	ხილი ხმელი, 0801–0806 სასაქონლო პოზიციების ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარეგები
64	0902	ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე
65	1101 00	ხორბლის ან მესლინის ფქვილი:
66	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან მესლინისა:
67	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვა ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები
68	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად ნაფქვა ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები
69	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვა ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან
70	1108	სახამებელი; ინულინი
71	1109 00 000 00	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან ტენიანი
72	1512 19 900 00	– – – დანარჩენი
73	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების, სისხლის ან მწერებისაგან; მზა კვების პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე:
74	1602 10 00	– ჰომოგენიზებული მზა პროდუქტები
75	1602 20	– ნებისმიერი ცხოველის ღვიძლისაგან
76	1602 31	– – ინდაურის
77	1602 32	– – შინაური ქათმის (Gallus domesticus)
78	1602 39	– – დანარჩენი
79	1602 41	– – ბარკლები და მათი გადანაჭრები

80	1602 42	– ბეჭის ნაწილი და მისი გადანაწილები
81	1602 49	– დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
82	1602 50	– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
83	1701 12	– ჭარხლის შაქარი
84	1701 91 000 00	– საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
85	1701 99	– დანარჩენი
86	1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი
87	1703	მელასა, შაქრის ამოღებით ან რაფინირების შედეგად მიღებული
88	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკაოს
89	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
90	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრის ან ძმარმჟავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული
